№ 217 ოქტომბერი 9, ხუთშაბათი 1886 ოქტომბერი 9 ხუთშაბათი № 217

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ძგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში, ქ. გორში, მერვეს ნოემბერს 1886 წ., ორ საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა, განუმეორებლად, ზეპირი და დაბეჭდილ კონვერტში განცხადებებით შესახებ შენობებისა, რომელნიც უნდა აშენდნენ გორის სასულიერო სასწავლებლისთვის და რომელთა ასაშენებლადაც დანიშნულია (68,194 მან. და 20 კ.) სამოცდა რვა ათას ას ოთხმოცდა თოთხმეტი მანეთი და ერთი აბაზი. პირობანი ამა ვაჭრობისანი და სმეტა შენობებისა მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის სამმართველოში და ექსარხოსის კანცელარიაში; სასწავლებლის სამმართველოში სმეტა და პირობანი მსურველთ შეუძლიანთ იხილონ ყოველ დღე, თვინიერ კვირა-უქმისა, დილის რვა საათიდგან საღამოს ორ საათამდინ.

ვაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან ვაჭრობის დღის თორმეტ საათამდინ შემოიტანონ სასწავლებლის სამმართველოში განცხადება მასზედ, რომ მიუშვან იგინი სავაჭრობად და მასზედა, რომ მათა სურთ აიღონ ფოდრათი პირობათა თანახმად. (3—2)

ტფილისი, 8 ოქტომბერი

ჩვენის ტფილისის სასამართლო პალატის მატიანეში ერთი მეტად საგულისხმიერო ამბავი უნდა შევიტანოთ. გუშინ პალატამ დამნაშავედ არ იცნა და სრულიად გაამართლა „დროების“ რედაქტორი თ. ივ. მაჩაბელი, რომელსაც შესწამეს ერთგვარი დანაშაულობა, კანონებში დიფომაციად ცნობილი. საქმე იმაში იყო, რომ ხსენებულმა რედაქტორმა თავის გაზეთში დაჰბეჭდა ზღაპრად მოწერილი ამბავი და ამ ამბავში იცნა თავისი თავი ერთმა მოხელემა, თუმცა არც დასახელებული იყო და არც რაიმე ნიშნით აღნიშნული. მოხელეს რაკი თავისი თავი ეცნა და იმ ამბავში მოხსენებული საქმენი და საქციელნი ეთაკილნა, აელო და საჩივარი შეეტანა, რომ გამაუპატიურესო. ამ ამბავმა ერთ დროს დიდი ალიაქოთი ასტეხა ჩვენს პატარა წრეში და „დროებას“, ჩვენდა სამწუხაროდ, ძვირად დაუჯდა. ამისთანა წინასწარი შედეგი მით უფრო სანაღვლელია, რომ დღეს პალატამ გაასამართლა ეს საქმე და დაინახა, რომ რედაქტორი და გაზეთი აქ არაფერს შუაშია. ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი არ იყო, რომ პირუთვნელი სამართალი ამ საქმეს სწორედ ასე დააბოლოვებდა. პირიქით, ჩვენ ის გვიკვირდა, რომ თვითონ ბრალდება როგორ უნდა აშენებულიყო იმისთანა უსაფუძვლო საბუთზედა, რომელიც სარჩულად დაუდვა თავის საჩივარს ტყუილ-უბრალოდ გულ-გამწყრალმა მოხელემა. ჩვენ გვეოცებოდა, რომ საქმე თვით განსამართლებამდე არ იქმნა მოსპობილი და თვითონ საჩივარი უყურადღებოდ დატოვებული.

ვინ იტყვის, რომ კანონი არ უნდა უფრთხილდებოდეს ადამიანის ღირსების ხელ-შეუხებლობას, ვინ იტყვის, რომ იგი არ უნდა ესარჩლებოდეს ყოველს კაცს, რომლის პატივი და სახელი საქვეყნოდ გაუპატიურებულია და შეურაცხყოფილი ვისგანმე. მაგრამ მეტის მეტი დაქვეითება იქნება კანონისა, რომ კაცმა ზღაპრად დაწერილი ამბავი თავის თავზედ მიიღოს და კანონს სთხოვოს, გამომესარჩლეო. განა არის ქვეყანაზედ იმისთანა ნაწერი, საცა კი ადამიანია ხსენებული, რომ გაზვიადებულმა გრძნობამ თაკილობისამ კლანჭში არ გამოჰკრას რასმე და თავის თავზედ არ მიიღოს? ყველაფერს ამას რომ კანონმა სარჩლი და ქომაგობა დაუწყოს, სად წავა! ან ამისთანა შემთხვევაში პირუთვნელმა სამართალმა თვისის სასწორის უღელი რაზედ უნდა დაანდოს?

თუნდ ეგეც არ იყოს, ვსთქვათ, რედაქტორს მოთხრობა რამე მოუვიდა დასაბეჭდად და ამ მოთხრობაში არც სახელია, არც გვარი ნახსენები, არც ნიშნობლივ რაიმეა ნაჩვენები, რომ ამით მაინც მიუხვდეს, ვისზედ არის დაწერილი.— განა აქვს-და რაიმე ღონისძიება გამოიცნოს, რომ ცხრა-მთას იქით ესა და ეს კაცია, რომელიც ყოველს მოთხრობილს თავის თავზედ მიიღებს, ითაკილებს და კანონს მიჰმართავს შემწეობისათვისათ. ამ შემთხვევაში რომ ბრალი დაედოს რედაქტორსა, ჯერ უნდა მივანიჭოთ მას ნიჭი გულთ-მისნობისა და რადგანაც ეს ნიჭი ადამიანის ხელთ არ არის, ყოველივე ბრალი ამისთანა შემთხვევაში ამ ნიჭის უქონლობაზედ იქმნება აშენებული. კანონი ვერ იკისრებს დაჰსაჯოს კაცი, იმიტომ-რომ გულთ-მისანი არა ხარო.

პალატას რომ გუშინდელ გარჩეულ საქმეში რედაქტორი „დროებისა“ დამნაშავედ ეცნო, მთელს ლიტერატურას თავს ზარს დასცემდა. მას შემდეგ შეუძლებელი იქმნებოდა კაცს რაიმე მოთხრობა, რომანი, კამედია დაეწერა, იმიტომ-რომ არც ერთი ამისთანა რამ ისე არ იწერება, რომ ადამიანის საქციელი ან ავად, ან კარგად არ იხსენიებოდეს. რაკი ასეა, რაკი ამ გვარი ლიტერატურა თავის საგანს ადამიანთა ცხოვრებიდამ იღებს და იმოდენადაც ქებულია, რამოდენადაც ახლოა ამ ცხოვრებასთან, ამიტომ არც ის შეიძლება ამ თვალ-გადაუწვდენელ ქვეყანაში ერთი იმისთანა კაცი არ მოიპოვებოდეს, რომ რაიმე მგზავსება თვისი არ იცნოს და მაშასადამე საბუთიც საჩივრისა ხელთ არ ჩაიგდოს დასასჯელად დამწერისა. თქვენი მტერი იქნებოდა, რაც საქმე ლიტერატურას დაემართებოდა, რომ ეს ასე იყოს. გუშინდელმა განაჩენმა პალატისამ, ჩვენდა სასიხარულოდ, დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და არც უნდა იყოს.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ ტფილისის სასამართლო პალატაში გაარჩიეს საქმე გაზ. „დროების“ რედაქტორად ნამყოფის ბ-ნ ივანე მაჩაბლისა და ვირუბოვისა. როგორც მკითხველს უნდა ახსოვდეს, ბ-ნ ვირუბოვმა, ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფმა, უჩივლა სასამართლოში ბ-ნს ივ. მაჩაბელს, რომ გაზეთის 140 №-ში დაბეჭდილი იყო ფელეტონი და ამ ფელეტონში აწერილი საძრახისი და სათაკილო საქციელი მე მომეწერებოდაო; ამის გამო მე შეურაცხ-ყოფილი შევიქენი გაზეთის მიერო. საქმის გარჩევის დროს თავ-მჯდომარედ იყო გონჩაროვი. წევრნი იყვნენ: მიხაილოვი და ბულატნიკოვი. ამტყუნებდა მაჩაბელს პროკურორის თანაშემწე ბ-ნი სტალინსკი.

ჯერ წაიკითხეს თვით ფელეტონი გურიის ცხოვრებიდამ, რომელშიაც ზღაპარსავით იყო მოთხრობილი ვილაც ხოჯისა, მოლისა და ლოქის ოინები და საძრახისნი მოქმედებანი. შემდეგ ბრალ-მდებელმა წარმოსთქვა გასამტყუნებელი სიტყვა. ფელეტონი გურიის ცხოვრებიდამ არის დაწერილიო, ხოჯად გამოყვანილია მაზრის უფროსად ნამყოფი ბ-ნი ვირუბოვიო, მოლა სახელად ბესო მისი თანაშემწეაო. მართალია, პირ-და-პირ ამისი დამტკიცება ძნელია, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თვით ფელეტონში ბევრი ისეთი გარემოებაა მოხსენებული, რომელიც მხოლოდ მაზრის უფროსსა და მის თანაშემწეს უნდა მიეწერებოდეს, ცხადი

ფელეტონი

ცოდვა სიყვარულისა

(Crime d'amour)

პოლ ბურჟეს რომანი

(შემდეგი*)

— ჩვენ უნდა გავეყარნეთ ერთმანერთსა რამოდენისამე ხნით,—სთქვა არმანმა,—იმ დრომდე—ვიდრე ალფრედის იჭვი დასცხრებოდეს. ბევრი-ბევრი ამას ხუთი-ექვსი თვეე მოუნდეს... მე წავალ პარიჟიდამ და ამით შენ საქმეს გაგიადვილებ. მართალია, ამ ჟამად ეს მე მეძნელება, მაგრამ შენის მშვიდობიანობისათვის უფრო უნდა ვიზრუნო ეხლა. ასე არ არის?

არმანმა კვლავ განაგრძო ლაპარაკი. ელენე ყურს აღარ უგდებდა. შიშისა და განსაცდელის მოლოდინი არ აწუხებდა ეხლა ელენეს,—და ან აინუნში კი მოუვიდოდა ამ ყოფაში განსაცდელი რამ?! ერთად ერთი უბედურება უწყლავდა გულს ელენესა: ეს უბედურება ის იყო, რომ არმანს უნდა გაჰყროდა და აღარ ენახა. ოთხისა და ხუთის თვეით, იქნება ნახევარ წლითაც უნდა მოვშორდეთ ერთმანერთსაო, ჰფიქრობდა ელენე. ისე ამბობს ამასა, თითქო დარზე ლაპარაკობსო, თითქო რომელსამე ახალს პიესაზე საუბრობსო. არმანს ადვილად მიაჩნია ისეთს ქალაქში ცხოვრება, საცა მე არ ვიქმნები, ადვილად მიაჩნია, რომ მე აღარა მნახოს ხოლმე მუდამ დღეო... არა, არა... ასე მხოლოდ ის ილაპარაკებს, ვისაც სიყვარული სრულიად არა აქვსო.

— მერე შენ აგრე გულ-დამშვიდებით მეუბნები მაგას!—ჰკითხა ელენემ მერე უჩემობაში რომ შეგეცვალოს გული ჩემზედა? რა მომივა მე? რაღა ვქნა მაშინ მე?

— გევედრები, ელენე, — დაიწყო კვლავ მოუთმენლად არმანმა, რაკი იგრძნო, რომ მისი ლაპარაკი თავს არ მოდიოდა, — ნუ ურევ ერთმანერთში სხვა-და-სხვა საგანსა... ეხლა ლაპარაკი იმაზე უნდა ვიქონიოთ, რომ შენი ქმარი იჭვიანობს და რომ შენ დამშვიდება გეჭირვება. საჭიროა თუ არა მოვშორდეთ ეხლა ჩვენ ერთმანერთსა,—ჰო თუ არა? საქმე სულ ამაშია.

— მე რომ სხვა ღონე ვიღონო?—შეეკითხა ელენე. ვსთქვათ, ჩემი ქმარი იჭვიანობს. მჯერა ისიცა, რომ მე განსაცდელი მომელის. მაშ წამიყვანე მეც შენთანა. მე ვამჯობინებ, ყველაფერზე ხელი ავიღო, ოღონდ შენ კი ჩემი იყო.

ამბობდა ამას ელენე და თან უნდოდა, რომ თვალებით შეეჭამა არმანი, ისეთ ნაირად აცქერდებოდა. ელენე იმ მდგომარეობაში იყო, როცა ადამიანი მზად არის ყველაფერი გასწიროს, ოღონდ-კი მართალი შეიტყოს, ხელი ჩასჭიდოს ამ მართალს და ისე იგრძნოს მისი შეხება, როგორც რომელისამე სხეულისა; იმ ყოფაში იყო, როცა ადამიანს ოღონდ-კი თავისი სურვილი შეუსრულდეს და... მერე თუნდა სიკვდილიც ელოდეს, ამისთვის აღარ ინაღვლებს...

— შენ ჩემზედ კარგად იცი, რომ მე ეგ არ შემიძლიან, სთქვა არმანმა პასუხად. შენ გაეიწყდება შენი შვილი. შეიძლება კაცმა ქმარს ცოლი წაართვას, მაგრამ შვილს-კი დედას ვერასოდეს ვერ გამოსწირავს.

— ოხ! შეჰყვირა ქალმა. ისა სჯობია, რომ მითხრა ბარემ, აღარ მიყვარხარ-თქო? რად ჰხარჯავ მაგ სიტყვებს, რად სცდილობ, რომ დამიფარო და შემიბრალო. ნუ თუ გგონია, იმდენად მამაცი არა ვარ, რომ გულ-მაგრად დაუხვდე ჩემს ბედს, როგორიც უნდა იყოს იგი ბედი? გეფიცები, არმან, რომ შენ უფრო მეტს გულ-ჩვილობას გამოიჩენდი, უფრო ნაკლებ ჩემდა მწვალებლად მეჩვენები, თუ ეხლავ მეტყვი ამას. მითხარ, არმან, რომ არ გიყვარვარ... მე მივხვდები, შევიგნებ მაგას... არ შეგიძულებ მაგისთვის, მოგშორდები, წაველ მარტოდ-მარტო და მარტო ერთს ჩემს უბედურებას თან წავიყოლიებ... ოღონდ ამ გაუგებრობაში კი ნუ მამყოფებ. ნუ მეუბნები აგრე გულ-ცივად, აგრეთის გულ-გრილობით, ერთმანერთს გავეყარნოთო... ნუ, ნუ მეუბნები, თუ კიდევ გიყვარვარ. ღმერთო, რა ცეცხლში ვარ!

მწუხარებისაგან ტუჩები დაეგრიხა, სულ თქმამ მოუმატა, მოუხშირა და თვალთაგან წამოსცვივდა მდუღარება. თითის ოდენა ცრემლები სცვიოდა ელენეს ლოყებზედ და თითქო ზოლებიაო, ისე უსერავდა ლაწვებსა.

— აიო! — ამბობდა თავის-თავად არმანი, რომელსაც ეს ცრემლები გულს კი არა სტკენდა, პირ-იქით კიდევაც აბოროტებდა. არმანი არა სწუხდა ქალის უბედურობის გამო ისრე, როგორც სწუხდა და გული სტკიოდა მაშინ, როცა ალფრედის მწუხარებასა ჰხედავდა. იქნება ამის მიზეზი ის იყო, რომ ერთი დედა-კაცი იყო და მეორე მამა-კაცი; დედა-კაცის მწუხარება ყოველთვის ისე ადვილი გასაგები არ არის ჩვენთვის, როგორც ჩვენისთანავე მამა-კაცის მწუხარება. ხან-და-ხან კიდევ, როცა ვხედავთ ტანჯვას, რომელიც ჩვენ მივაყენეთ საყვარელს ქალს, ცხადადა ვგრძნობთ ჩვენს სისაძაგლეს, ამ გრძნობის გამო ჩვენი თავი მეტად დამდაბლებულად მიგვაჩნია და ისე ვშფოთავთ, რომ სიბრალულს ველარა ვგრძნობთ.

არმანი წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო ოთახში.

ბარემ გავათავებ ეხლავე და მოვრჩები და მოვისვენებო... მოიფიქრა მან თავის-თავად და სთქვა ხმა-მაღლა.

— მე არ მესმის, რა გატანს ძალას, რომ აგრე სტირი? ყოველივე, რაც მე გითხარი, სრულიად ისეთი

---

*) იხ. „ივერია“ № 215.

იქნება, რომ ზემოხსენებულის ფელეტონის დამწერს სწორედ ოზურგეთის ადმინისტრაციის მოხელენი ჰყოლია სახეში და მათის სახელისა და პატიოსნების შებღალვა ნდომებიათ.

ბ-ნს ივ. მაჩაბელს დამცველი არა ჰყავდა და თავის დასაცველად თვითვე სთქვა გასამართლებელი სიტყვა და წარუდგინა პალატას რამდენიმე მოსაზრება იმის თაობაზედ, რომ ხსენებულს ფელეტონში სრულიად არ არის მოხსენებული მომჩივანიო და საიდამ იცნო მან თავისი თავი იქ აღწერილ ხოჯა'ში—ეგ მე ვერ გამიგიაო. ხოჯა შეიძლება სულ სხვა იყოს და არა მაზრის უფროსად ნამყოფი ბ-ნი ეირუბოვიო და ბევრი სხვა ამ გვარი საბუთი მოიყვანა. სასამართლომ დამნაშავედ არ იცნო ბ-ნი ივანე მაჩაბელი და სრულიად გაამართლა ამ საქმის გამო.

⁂ იმ დღესვე გაარჩიეს სასამართლო პალატაში საქმე შორაპნელის მცხოვრებელის მიხეილ მერაბის-ძის გურგენიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა კაცის-კვლა და 16 ჯერ ჩადენილი ქურდობა-მტაცებლობა. სასამართლო პალატამ გაამართლა ბრალდებული, რადგან ყველა ზემოხსენებული დანაშაულობა ბ-ნს გურგენიძეს ჩაედინა ჭკუაზე შეშლილობის გამო. ეს გარემოება ცხადად დაამტკიცეს ექიმებმა, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ ამ საქმის გამო სასამართლო პალატაში.

⁂ გუშინ-წინვე 1-მა მომრიგებელმა სასამართლომ გაარჩია საქმე სალამბეგოვისა და თ. ნიკ. დიასამიძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ უყურადღებობა კოვალენკოს სახლის შენობის დროს, რის გამოც ერთი მუშა, გვარად ოჰანეზოვი დაიტანა ერთმა ძველმა ჩამონგრეულმა კედელმა. მოწმებს ჩვენება ჩამოართვა მსაჯულმა და მერე შემდეგი განაჩენი დაადგინა: სახლის პატრონი კოვალენკო განთავისუფლებულ იქმნას პასუხის გებისაგანაო, ბ-ნს სალამბეგოვს განუჩინა ციხე ორის თთვითა, ხოლო ნიკ. დიასამიძეს ორის კვირის ვადითა.

⁂ პოლკოვნიკის მედვედოვსკის საქმე დანიშნული ამ დღესვე სამხედრო სასამართლოში არ გაირჩა, რადგან ზოგიერთნი მოწმენი არ გამოცხადდნენ. საქმე გადაიდო ერთის თთვით. მედვედოვსკის დამცველი ახალ-გაზდა ნაფიცი ვექილი ბობრიშჩევი-პუშკინი, რომელიც ამ საქმის გამო რუსეთიდამ იყო მოსული, დაბრუნდება რუსეთს და ხელ-მეორედ ჩამოვა გიორგობის თთვეში ბრალდებულის დასაცველად.

⁂ დღეს შესრულდა სწორედ 35 წელიწადი მას აქედ, რაც პირველად ოპერის წარმოდგენები დაიწყო ტფილისში. 1851 წელს 9 ოქტომბერს პირველად წარმოადგინეს თურმე ჩვენს ქალაქში ოპერა „ლიჩია-დილამერმურ“. ამის გამო ფითოევის საოპერო დასი იდღესასწაულებს ამ დღეს და წარმოადგენს სხვა-და-სხვა ოპერების სხვა-და-სხვა მოქმედებასაო.

⁂ სომხურ წარმოდგენას „კინისას“ ძალიან ცოტა ხალხი დასწრებია 6 ოქტომბერს.

⁂ გორიდამ სწერენ გაზ. „კავკაზს:“ ოთხს ოქტომბერს აქ კრება იყო ქალაქის ხმოსანთაო. ქალაქის თავმა წინადადება მისცა ხმოსანთ, რომ განეხილათ საქმე ხელ-მეორედ საქალაქო მამულებისა და უძრავის დაფასებისა. ხელ-მეორედ დაფასება საჭიროა იმიტომ, რომ პირველ-დაფასების დროს ბევრნი მამულის პატრონნი გაუნთავისუფლებიათ საქალაქო დასაფასებელის გადასახადისაგანაო. ხმოსანთ ძალიან თურმე ეძნელებოდათ ამ საქმის განხილვა, რადგან ყველანი მამულის პატრონები არიან, მაგრამ მეტი ღონე არ იყოვო, ამბობს კორრესპონდენტი. მომავალის წლის ხარჯთ აღრიცხვიდამ სჩანს, რომ ქალაქმა უნდა დახარჯოს 12,000 მანათზე მეტი და შემოსავალი კი სულ 6,000 მანათია მოსალოდნელიო. ქალაქის თავმა ურჩია ხმოსანთ, რომ 8½% დააწესეთ საქალაქო გადასახადიო, მაგრამ ხმოსანთ ვერ გაჰბედეს ესა და მხოლოდ 6% დააწესესო.

დამაკვირდი!

ადამიანი ისე ნაკლებად არა-რას ჰზოგავს როგორც იმას, რაც უფრო ყველაზედ მეტად დასაზოგავია; მაგალითებრ, დრო და ჭკუა. (ბუხტე.)

**

დიდის სიკეთის გასამარჯვებლადაც კი კაცმა მცირე-ოდენის ბოროტის ქმნაც არ უნდა იკადროს. (პასკალ.)

**

კაცი, რომელიც მადლობის თქმას არ ემიებს, სწორედ იმისთანა კაცია, რომელიც მართლად ღირსია სრულის ჩვენის მადლობისა. (მილტონი.)

**

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა,
უწვრთელის შვილის ყოლასა.
(დ. გურამიშვილი)

**

ქმნა მართლისა სამართლისა
ხსას შეიქმს ხმელსა ნედლად. (რუსთაველი.

**

რა გინდ რომ ქერქი შეიძროს,
გველი აგრევე გველია (მეფე ვახტანგ VI)

**

კაცი ასეთს კარგს რასა იქმს,
ან ავსა, სხვასაც არ ექმნას?
მაშინ გამოჩნდეს ორივე,
რა ორთავ ბჭობა შეექმნას. (არჩილ მეფე)

ჯილდონი კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოებისანი.

ჩვენის ექიმების საყურადღებოდ, რომელნიც ძალიან ნაკლებად ეწყობიან მწერლობის საქმეს საზოგადოდ და სამეცნიერო მოღვაწეობას კერძოდ, ჩვენ მოგვყავს შემდეგი გარემოება.

კავკასიის საექიმო საიმპერატორო საზოგადოებას ჰქონია დანიშნული სხვა-და-სხვა ჯილდო იმისათვის, ვინც რიგიანს თხზულებას დასწერს შემდეგს საგნებზედაო:

1) „მიმოხილვა იმისი, თუ რა-და-რა წამლობა იციან კავკასიის რომელსამე ალაგას, ანუ რომელსამე ერსა და ხალხში,“ — მირიმანოვის ჯილდო (200 მან.).

2) ჯილდო ექიმის მილლიოტისა (250 მან.) შემდეგს საგანზედ დაწერილის თხზულებისათვის: „ჰავა კავკასიისა და ყირიმის სამხრეთის ნაპირისა იმის მიხედვით, თუ რამდენად მოხერხებულნი არიან ეს ადგილები საზამთროდ სადგომად.“

3) ჯილდო საზოგადოებისა 25 სექტემბერს 1871 წლისა დაარსებული იმ მიზეზით, რომ ამ საზოგადოებას ებოძა სახელ-წოდება «საიმპერატორო საზოგადოებისა» (400 მან.), უნდა დაიწეროს შემდეგი თხზულება: «გამოკვლევა იმ ავად-მყოფობისა, რომელიც წარმოსდგება კავკასიაში ჰაობიანის მოწამლულის ჰაერისაგან».

4) ქეთხუდოვის ჯილდო (200 მან.) —შემდეგის თხზულებისათვის: „მოკლე და ადვილად გასაგები თხზულება ხოლერაზე კავკასიის ღარიბ მკვიდრთათვის“.

5) ჯილდო საზოგადოებისა (300 მან.) შემდეგის თხზულებისათვის: „აღწერა ყველა სხვა-და-სხვა ჯიშის წვრილ-ფეხისა და სხვილ-ფეხის საქონლისა, რომელსაც აშენებენ კავკასიის სამხედრო ოლქაში და რომლის ხორცსაც საჭმლადა ჰხმარობს ხალხი.“

6) სამუდამო ჯილდო საზოგადოებისავე, დაარსებული პ. ხობოლშჩიკოვის სახსოვრად შემდეგის თხზულებისათვის: ადვილად და გასაგებად დაწერილი ფიზიოლოგია და დიეტეტიკა ორსულთა, მშობიარეთა და მშობელთა და აგრეთვე ახლად დაბადებულთა ყრმათა (ვიდრე შვიდის დღისანი შეიქმნებიან). ამ თხზულებაში უნდა მოხსენებული იყოს ავტორისაგან, თუ გაუგონია, რა-და-რა ზნე და ჩვეულება აქვთ ხალხსან ამიერს, ან იმიერს კავკასიისას და ამიერ-კავკასიისას; ან ამასა და ან იმ თემში ისეთნი, რომელნიც, ცოტად თუ ნაკლებ, მავნებელნი არიან“.

7) საზოგადოების ჯილდო (500 მან.). თხზულება: აღწერა გადამდების სახადისა, რომელიც გავრცელებული იყო ამიერ-კავკასიის მეომარ ჯარებში 1877—1878 წწ.

8) ჯილდო ე. კრასნოგლიადოვის სახელობით დაარსებული (100 მან.) თხზულება: «ისტორია კავკასიის საიმპერატორო საექიმო საზოგადოებისა».

9) წლიური ჯილდო საზოგადოებისა (100 მან.) საუკეთესო თხზულებისათვის, რომელიც დაიბეჭდება წლის განმავლობაში საზოგადოების გამოცემაში.

გაზ. „Рус. Кур.“-ი ამბობს, რომ, როგორც ჩვენ შევიტყეთ, პირველი ჯილდო ამ დღეებში მიიღო უკვე ერთმა ექიმმაო.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი შაშიანი. სოფ. შაშიანი მდებარეობს ალაზნის მარჯვენა მხარეს, ცხრა ვერსის სიშორეზე. ფიცრულისა და ქვითკირის შენობები შეფენილია ცივ-გომბორის მთის კალთებზედ. აქ კაცი იშვიათად შეხვდება წნულს, ჩალით დახურულს შენობას, სახლები ერთმანერთზედ კარგა მანძილზედ არის მოშორებული; სახლებ შუა ვენახებია, ბაღჩები, საბძელკალო და თითქმის სახნავი მიწებიც. ასე რომ პირველის შეხედვით გეგონებათ შაშიანელებს ყოველისფერი ზურგზედ აკრიათო, მაგრამ ეს ასე არ არის. სოფელ ჰერემის გადასახედიდგან დაწყობილი შაშიანამდე ტყეა და სოფლიდგან ალაზნამდე სახნავი მიწები, ასე რომ 25—30 ვერსტზედ შაშიანის ადგილ მამულებია გადაჭიმული. შაშიანს ორი სოფელი არტყია აქედ-იქით, ურიათ-უბანი და კალაური. ამდენს სოფელს სულ ორი წყარო აქვს, საიდამაც წყლის აღება შეუძლიანთ. ბევრი კოკა გატყდება ხოლმე ამ წყაროებზედ. ზოგჯერ იმოდენა ხალხი მიაწყდება, რომ თითქმის სამი ოთხი საათი უნდა უცადოს კაცმა, მანამ ჯერი შეხვდება. ამ გაჭირების აცილება ძრიელ ადვილია: აქა-იქ გამონაქონ წყლებს ერთად რომ მოუყარონ თავი, წისქვილი დატრიალდებოდა. ორ-სამ სოფელს ეს არც გაუჭირდებოდა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ დაუდევნელები ვართ.

—

ვერც გზები აქვთ კარგად გაკეთებული შაშიანელებს. შაშიანელების სარჩო-საბადებელი მომეტებულად მინდორში მოდის; ვენახები უფრო მეტი სოფლის ბოლოშია და ხეირიანი გზა კი არა აქვთ. კარგად მოგეხ-

---

რამ არ არის, რაც არ ამტკიცებდეს, რომ გულ-წრფელის პატივის-ცემით გექცევი.

როგორ მოუვიდა ელენეს და ვერ შენიშნა, რომ მან აღარა სთქვა: „სიყვარულით გექცევიო!“

— ხოლო რაკი შენ მთხოვე, რომ სრულიად გულ-ახდილად გელაპარაკო, ბატონი ბრძანდები: მე მინდა, რომ მოვშორდეთ ერთმანერთს არა მარტო შენთვის, არამედ ჩემთვისაც. მე და შენ შორის, ელენე, ეხლა ისეთი ჭდე და მიჯნა დაიდო, რომელსაც პატიოსანი კაცი ვერ გადასცდება.

— რა ჭდე და რა მიჯნაო? ჰკითხა ელენემ არმანსა და იმდენი ძალა ჰქონდა კიდევ, რომ მაღლა აიღო თავისი ფერ-წასული, ნამტირალევი სახე.

—ეგ ჭდე ის არის, რომ ალფრედი ისე ხელ-აღებით ჩემზედ მონდობილია,— სთქვა მან სასტიკად. როცა ალფრედი მოვიდა ჩემთან, მარტო თავის იჭვიანობაზედ არ მელაპარაკა... ისეთი პატივისცემა და მეგობრობა დამიმტკიცა, რომ მე გამოთქმაც-კი არ შემიძლიან... გუმანი და იჭვი ჩემზედა ჰქონდა აღებული და ჩემთანვე მოვიდა გულ-ახდილი. ერთი ნამცეცი სულმდაბლობა ერთი ნამცეცი გაბოროტება არ ეტყობოდა იმ დიდ-სულოვანს კაცსა. პირ-იქით, რა წმინდა, რა გულ-წრფელი და კეთილ-შობილი იყო ის კაცი... არა, ელენე, მე არ შემიძლიან ვღალატობდე იმ კაცსა; მეტად და მეტად შემძაგდებოდა ჩემივე თავი...

— კარგია და მერე მე?—ხმა მაღლა სთქვა ქალმა და წამოდგა თავადაც თავის ადგილიდამ.

ამ ქება-დიდებამ, რომელსაც იმისი საყვარელი ასეთის გულ-უხეობით უძღვნიდა ალფრედს, მთლად აალევა ელენე და ჯავრით აუვსო გული.

— განა მე არ გადაველახე ყოველივე ეგ, იმისთვის, რომ შენი ვყოფილიყავი? ან იქნება გგონია, რომ მე სხვის მოტყუებისა და ღალატისათვისა ვარ გაჩენილი ქვეყნადა? განა შენ არ მომთხოვე, როცა ჩემი დაჩემება მოინდომე, რომ ყოველის უარის უთქმელად მეღალატნა იმ პატიოსნის კაცისათვის, იმ ერთგულის შენის მეგობრისათვის? ჰო! შენ ჩემის გულისთვის კი არა გრცხვენოდა და შენის გულისთვის-კი გრცხვენიან! შენ ნება აღარა გაქვს ილაპარაკო პატიოსნებაზედ, ღალატზედ, ფეხ-ქვეშ გათელილს მეგობრობაზედ... შენ არა გაქვს ნება ილაპარაკო ესა, იმიტომ რომ შენა ხარ, გესმის თუ არა, შენა ხარ ყოველს ამაში პასუხის მგებელი!.. განა შენ არ მეხვეწებოდი და მევედრებოდი, ჩემი იყავიო? მიპასუხე, შენი რიგია ახლა: მართალია, თუ არა?

— მოითმინეთ!—შეეკამათა არმანი. მოვიგონოთ, როგორ იყო საქმე. ჩვენ შევიყვარეთ ერთმანერთი. თქვენ, მგონია, მცირე-წლოვანი არ იყავით; არც მე ვიყავ ძუძუთა. მე და თქვენთვის ცხოვრებაში გამოსვლა ახალი ამბავი არ იყო, უკვე გამოცდილნი ვიყავით, ასეა თუ არა? ჩვენ ვიცოდით, რასაც ვაპირობდით. მე ვალდებული ვიყავ, სახელი არ გამეტეხნა თქვენთვის. ვუთხარი ვისმე რამე თქვენზედ, თუნდ ერთს სულიერს მაინცა? მე ვალდებული ვიყავ მეზრუნა თქვენის მშვიდობიანობისათვის. ეხლა მე ვარღვევ თქვენს მშვიდობიანობას,— და ამიტომ გშორდებით თავიდამ. რაიცა შეეხება ჩემს სინიდისს, მე გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ მარტო მე ვიყო იმისი გამკითხველი, თუ რას მამხილებს იგი და რას არა.

— თქვენი სინიდისი ექსს თთვეს უკან კი უფრო გამილმობიერდება, თუ რა არის? არა სჯობია, რომ უფრო გულ-წრფელად და უხვანჯოდ ილაპარაკოთ? თქვენ ის კი არ გინდათ, რომ დროებით მოვშორდეთ ერთმანერთს, არამედ ის გინდათ, რომ სამუდამოდ გავწყვიტოთ კავშირი. ეს მაინცა ჰქენით, პირ-და-პირ მითხარით ესა, თუ გსურთ, რომ პატივსა გცემდეთ კიდევ.

— დიაღ, სწორედ აგრეა,—უპასუხა მკაცრად არმანმა, რომელიც მოთმინებიდამ გამოიყვანა ამ წინად ისეთის მშვიდისა და მორჩილის ქალის წყრომამა...

— მაშ აგრე იფიქრეთ, რომ ყველა თქვენი მოვალეობა შეასრულეთ ჩემ შესახებ? განაგრძო ელენემ.— მაშ თქვენ წახვიდოდით, დამტოვებდით მე მარტოდ-მარტოსა... მომწერდით ხუთიოდ-ექვსიოდ წერილსა —და გაათავებდით!?... თქვენ ასეთის ლამაზის სიტყვებით დაამშვიდებდით თქვენს თავს: ელენე—ძუძუთა ხომ არ იყო. ჩვენ ვიცოდით, რასაც ვაპირობდით,.. ახალად არ გამოვდიოდით ცხოვრებაში, გამოცდილნი ვიყავითო.

— მე ძალიან მინდა შევიტყო,— დაუმატა იმან მწარის დაცინვითა და მეტის წყრომითა, რა აზრი აქვს ამ თქვენს სიტყვებს, სახელდობრ?

— მითამ რისთვის-და? სთქვა არმანმა.

— მე მსურს ვიცოდე, განაგრძო ელენემ სიანჩხლით. სხვა რომ არა იყოს-რა, იმის უფლება მაინცა მაქვს, რომ ვიცოდე, რასა ჰფიქრობთ თქვენ ჩემზედა.

— თქვენ ძალათი მათქმევინებთ, მგონი, იმას, რასაც მერე თქვენვე ინანებთ, ახლა თქვენ მიპასუხეთ თქვენის მხრით: ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ მე არ ვიცი თქვენი წარსული ცხოვრება?

— ჩემი ცხოვრება?—ჰკითხა ელენემ გაკვირვებისაგან თითქმის გაშეშებულმა. არმანს კი ეგონა, რომ გაკვირვება-კი არ არის მიზეზი იმის გაშეშებისა, არამედ შიში, რომელიც იგრძნო ელენემ ამ უცების მუქარების გამოვო.

— გინდათ, რომ მე საბუთი და-

სენებათ ჯერ ახლოდამ რა ზარალს აძლევს პატრონს ყურძნის გოდრით ზიდვა და ექვსი ვერსტის მანძილზედ რაღა იქნება, მერე ასეთ ოღრო-ჩოღრო გზაზედ, როგორც შაშიანისაა. სულ უკანასკნელი, ოცამდე ძნის ურემი მაინც გადაბრუნდება ერთს ზაფხულს და ოცში სამი არ დარჩება მრთელი. ახლა რამდენი თავ-თავი იფანტება? სულ რომ ვიანგარიშოთ, ზარალი კარგა შორს წავა. აქაურს გლეხს რომ ჰკითხოთ, რატომ ამ გზას არ აკეთებთ, მთელ სოფელს ერთი გზა გაქვთ და ისიც ვერ გაგიკეთებიათო: პასუხად გეტყვიან: რა ექნა, შენი ჭირიმე, მარტო მე ხომ არ დავდივარ ამ გზაზედაო. თვითოეულად ყველა ამას გეტყვით და საქმით კი მაინც ხელს არ გაჰძრავს. ნუ კი გგონიათ, რომ შაშიანელებს ეს სიზარმაცით მოსდიოდეთ, არა, პირიქით, აქაური გლეხი ძრიელ მხნეა, გამბედავი და დაურიდალი თავის საკუთარს საქმეში. საზოგადო საქმეს კი სრულიად გულ-გრილად ექცევა, რადგან არ ესმის, რომ საზოგადო კეთილ-დღეობა კეთილ-დღეობაა თავის საკუთარიც.

გზების უქონლობა კი რამდენ გაჭირებას აყენებს შაშიანელებს. ისეთ ციცაბ კლდეებზედ ააქვთ ურემი, მეტადრე შეშისა, რომ კაცს გაუჭირდება სიარული. დაადგებიან თავ-დაღმართს და დაიწყებენ ყვირილს:—დააყე, კაცო, თავ-დაღმაა ჰე!—წინა ხარები აუშვი, ბიჭო, რასღა შაჰყურებ. მოდი წინ დაუდექ კამეჩებს! უშვებენ საყევრის ხარებს და უკანიდგან უბმენ. მეურმე ურმის თავს წაავლებს ხელს და ჩაუძღვება წინ ხი-ხი!-ს ძახილით და სახრეს ქნევით კიდევ კარგი, თუ კამეჩები და ხარები თავს დაუჭერენ და სავსე ურემის ჩატანას შესძლებენ. ბევრჯელ კი ისეც მოხდება ხოლმე, რომ ურემს ხარკამბეჩი ვეღარ შეიმაგრებს, ურემი დაქანდება, ბარდებში წაეჩხირება და მაშინ მთელი დღე უნდა ეწვალოს ურმის გამოთრევაზედ, თუ თითონ მეურმეც გამოსათრევი არ გახდა, თუ დროზედ მოასწრო და მოსცილდა დაქანებულს ურემსა.

—

შაშიანში სკოლა არ არის და შაშიანელები ამას არც ძალიან ნაღვლობენ. „რა ჩვენი საქმეა სკოლაო“, ამბობს იქაური გლეხი, „ჩვენი სკოლა გუთანია და წიგნი—სახრეო.“ ბევრჯელ ცდილან შაშიანელებისათვის შთაეგონებინათ, რომ სკოლა დიდს სარგებლობას მოგიტანთო, მაგრამ ეტყობა კარგად ვერ შთაუგონებიათ, თორემ შაშიანელები ასეთ უარზე არ იქნებოდნენ. სასულიერო მთავრობის ბძანებით სოფელ შაშიანში უნდა გამართულიყო სამრევლო სკოლა. აქაური მღვდელი ილია შიუკაშვილი შეუდგა მაშინვე ამ საქმეს. გამართა თავის სახლში სკოლა, იყიდა თავის ხარჯზედ სკოლისთვის საჭირო ნივთები და გამოაცხადა სოფელში: „მოიყვანეთ შვილები, ვისაც გინდათ—სკოლა მზად არისო.“ მოვიდა ჯერ ერთი შეგირდი, ერთის კვირის შემდეგ კიდევ ორი-სამი,—გაიმართა სკოლა, სწავლა რიგზე წავიდა. მღვდელი სხვა-და-სხვა საგნებს ასწავლიდა, დიაკვანი გალობას. გალობაში შეგირდები ისე გაიმართნენ, რომ ეკკლესიაშიც გალობდნენ. მშობლებს ძალიან უხაროდათ და სიამოვნებით ისმენდნენ თავიანთ შვილების გალობას. ბავშვები აუტყდნენ თავიანთ მშობლებს: „მეც წავალ სკოლაში—რა არი! ჰა, მამავ, ჰა, დედავ!“ ყმაწვილებს იზიდავდა, როგორც იმათ ტოლების გალობა, აგრეთვე ისიც, რომ სკოლა დიდ გაშლილ მინდორზეა ეკკლესიის გარშემო, სადაც მოსწავლე ყმაწვილები მხიარულად დახტიან. მაგრამ ამ სკოლაში დღესაც ოც-და-ხუთ შეგირდზე მეტი მაინც ვერ მოგროვებულა.

—

ერთი ორი სიტყვაც აქაურ ეკკლესიის კარ მიდამოზედ. უნდა მოგახსენოთ, რომ ექვსი წელიწადია, რაც აქა მღვდლობს მ. ალ. ში—შვილი და ამ ექვსს წელიწადში სწორედ რომ გაამშვენიერა ეკკლესიის კარ-მიდამო. ათ დღიურამდე ალაგი იქმნება ეკკლესიის გარშემო, თუ მეტი არა. ამ ექვსი წლის წინად აქ თითქმის ცარიელი მინდორი იყო. საქონელი თავისუფლად დასეირნობდა. ეხლა კი სულ სხვაა. მამა ში—შვილმა გაყო ეს ალაგი რამდენსამე ნაწილად, მაგრა შემოზღუდა, გარშემო ტყე გააშენა, მომეტებულად იფნისა და რცხილისა, ეკალი მოაშორა, შეკაფა ტყე და შუაზედ მინდორი დასტოვა მლოცავისთვის. ამ ჟამად ექმნება ასამდინ ვაშლისა და მსხლის ნამყენი, სულ თავის ხელით გაკეთებული. ატამი, ბალი, ქლიავი, თხილი ხომ უთვალავია. ორმოციოდე ძირი ვაზიც აქვს დარგული. ოთხის წლის შემდეგ ეს ტყე და ხეხილი თითონ მღვდელსაც ეყოფა და სკოლასაც შეინახავს.

კაკო ბლაჭიაშვილი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ს შემდეგი დეპეშა მოჰჴვლია ბოლგარიიდამ თავის საკუთარის კორრესპონდენტისაგან:

> ნამდვილად შევიტყე,—იწერება კორრესპონდენტი, რომ ბოლგარიის მთავრობას შემდეგი პლანი აქვს შედგენილიო: არჩევანები გათავდა და მთავრობის ერთგული დიდი საერო კრება ამ ახლო ხანებში საქმეს შეუდგება. პირველ სხდომაზედვე კრებამ უნდა გარდასწყვიტოს, რომ ბატენბერგის ტახტიდამ უარ-ყოფა კანონიერი არ იყო, რადგანაც ბოლგარიის კონსტიტუციის ძალით მთავარს ამის ნება არა ჰქონდაო; ამიტომ ბატენბერგი, როგორც წინად იყო მთავრად, ხელ-ახლად არც ამორჩევა უნდა, არც დამტკიცება; კრებამ მეორედ უნდა მოიწვიოს ალექსანდრე, როგორც თავისი კანონიერი მთავარიო. ბატენბერგის წასვლას ბოლგარიიდამ ისე უნდა შეჰხედოს კრებამ, როგორც უბრალო მოგზაურობას და მანამ მთავარი უკანვე დაბრუნდებოდეს, სარეგენტო მთავრობას უნდა მიენიჭოს უფლება სახელმწიფო განაგოს. იმავე სხდომაზე კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი უნდა შეიცვალოს ისე, როგორც სარეგენტო მთავრობასა ჰსურსო.

ახირებული დიპლომატიური ხრიკები მოუგონია ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას! გაზეთი „Московскія Вѣдомости“ ასე გვიმარტავს თავის მხრივ ამ დეპეშას:

> ყველაფერი მოსალოდნელია! შესაძლებელია ისიცა, რომ ბატენბერგი მშვიდობიანად მოივლის ევროპას და ალხეინად დაბრუნდება ისევ ბოლგარიაში... ჩვენ გარდაწყვეტით არაფერს ვამბობთ და სარეგენტო მთავრობა კი მთელ ბოლგარიას ურცხვად ატყუებს. მტრებმა სრულიად შეიპყრეს ბოლგარიაო, და ჩვენ კი ვაგვიანებთ ბოლგარიაში ჯარების გაგზავნას... ბოლოს კი საქმე იქამდინ მივა, რომ ძალა-უნებურად იძულებული ვიქმნებით ომი გამოვუცხადოთ... ეს ემჯობინება ჩვენთვის?..

⁂

ჟურნალ „Русская Старина“-ს ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია ერთი სახუმარო ლექსი, რომელიც ჯერ არსადა ყოფილა დაბეჭდილი. ჟურნალის რედაქცია ჰფიქრობს, თუმცა კი ნამდვილად არავინ იცის, ვითომც ეს ლექსი განსვენებულ გრაფ ა. კ. ტოლსტოის კალამს ეკუთვნისო. მოგვყავს აქ ლექსი მკითხველების გასართობლად:

Друзья, ура! Въ единство
Сплотись, Святая Русь!
Различій, какъ безчинства,
Народныхъ я боюсь.
К*** сказалъ, что дискать
Терпѣть ихъ—это грѣхъ;
Ихъ надо тискать, тискать
Въ патронъ единый всѣхъ.
Ядро у насъ Славяне,
Но есть и Вотяки,
Болгаре и Армяне
И даже Калмыки,
И есть у насъ Грузины,
Конвоя цвѣтъ и честь,
Есть латыши и Фины
И Шведы тоже есть.
Недавно и Текинцы
Живутъ у насъ въ плѣну,
Признаться-ль?.. Есть и Нѣмцы,
Но это entre-nous.
Боясь съ К*** драки,
Я на ушко шепну,
Что есть у насъ Поляки,
Но это entre-nous.
И многими другими
Обиленъ нашъ запасъ;
Какъ жаль, что между ними
Арабовъ нѣтъ у насъ:
Тогда-бы князь Черкасской
Усердіемъ великъ,
Имъ мазалъ бѣлой краской
Ихъ неуказный ликъ.
Въ усердьи столь-же смѣломъ
И съ помощью воды
Самаринъ теръ-бы мѣломъ
Ихъ черные зады.
К*** съ усердьемъ Альбы
Имъ удлинялъ-бы носъ,
Маркевичъ восклицалъ-бы:
Осанва!! Аксіосъ!!

უცხოეთი

ბოლგარია. ეხლა ყველა უცხოეთისა და რუსეთის გაზეთები სულ კაულბარსზე ლაპარაკობენ და სწერენ; კაულბარსის მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებენ და ყოველს მის საქციელს კრიტიკის ცეცხლში ატარებენ. მაგალითებრ, ბერლინის გაზ. „Post“-ა აი რას ამბობს ბარონ კაულბარსზედ: „მას შემდეგ რაც რუსეთმა თავის პირით აღიარა ძალ-მომრეობით ღონეს არ ვიხმარებ ბოლგარიის საქმეში, კაულბარსის მოლაპარაკება და კამათობა ბოლგარიის სარეგენტო მთავრობასთან რაღაც შინაურ საქმედ გარდაიქცაო. თუ რომ სარეგენტო მთავრობა ბოლგარიისა ფეხს მაგრად მოიკიდებს თავის ადგილზედ, მაშინ სამხედრო ძალ-დატანება ვეღარას დააკლებს ამ მთავრობასაო. ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა რომ თავისუფალი მთავრობა ყოფილიყო, კაულბარსს არ დააყენებდა ბოლგარიაშიო. მაგრამ ბოლგარია თავისუფალი არ არის და ამას გარდა ამ ჟამად ბოლგარიის საქმეები აწეწილ-დაწეწილია და ეს გარემოება ძალიან აფერხებს საქმესაო. თუ ბოლგარიის ერი თავის დროებითის მთავრობის მომხრე იყოს, აქამდე ბოლგარია, ეჭვი არ არის, გაიმარჯვებდა და ყველას ჩააჩუმებდაო. დიდი იმედი გვაქვს, რომ შემდეგში ასეც უნდა მოხდესო. ბოლგარიაზედ ძალას ვერავინ მიიტანს, რადგან ყველა დიდთა სახელმწიფოთ ერთმანერთში სიტყვა აქვსთ მიცემული და პირობა შეკრული, რომ ბოლგარიას თავისუფლებას არ დაუხშობთო»

— კორრესპონდენტს „Central Hews Agency“-ისას ლაპარაკი ჰქონია ბარონ-კაულბარსთან რუშჩუკში. «ბარონი კაულბარსი ძალიან აღშფოთებული იყოვო, ატყობინებს კორრესპონდენტი ზემოხსენებულს გაზეთს დეპეშით და მითხრა: ძალიან მიკვირს, რომ ბოლგარიის ერი და დროებითი მართველობა ასე გაჯიქებულია და არ უნდა რუსეთის კეთილ სურვილს დაჰყვესო. მე მონდობილი მაქვსო, უთქვამს კაულბარსს, რომ ბოლგარიაში მშვიდობიანობა ჩამოვაგდო. ბოლგარიის კეთილ-დღეობა რუსეთზეა დამოკიდებული. რუსეთი არჩევანებს კანონიერად არ იცნობს მანამდე, სანამ

გისახელოთ?—სთქვა არმანმა უფრო მეტის გულ-ქვაობითა. თქვენ დაგავიწყდათ, რომ კავშირი გქონდათ ბ-ნ ვარადთან?

— ოჰ!... შეჰყვირა ქალმა. რა საძაგლობა და ბილწობაა! ბ-ნი ვარადიო!...

სთქვა ესა ელენემ და ჰკუაზე შეშლილივით იტაცა თავზედ ორივე ხელი.

— სთქვით, რომ თქვენ არ დაიჯერეთ ეგ სისაძაგლე, სთქვით, გევედრებით... არმან, ჩემო კარგო! სთქვი, რომ შენ მაგ ნაირ ქალად არა მთვლიდი... ოჰ, სთქვი, მითხარ, მითხარი!...

— მე მჯეროდა ეგა,—უპასუხა არმანმა...

გული არმანისა გაქვავდა, გაკლდევდა და არ ესმოდა ეს ყვირილი თავის საყვარლისა. რაღაც ცივი და ბრაზიეით ყელში მობჯენილი იჭვიანობა წარსულის გამო ცოტა არ იყოს მუდამ სტანჯავდა არმანს, თუმცა კი არ უყვარდა ელენე... ასეთი იყო ამ კაცის ახირებული ბუნება...

— თუ დაიჯერეთ, — უთხრა ელენემ, რომელსაც ცივმა ოფლმა დაასხა, ესეთი პასუხი რომ მიიღო,—რატომ არც ერთხელ არა მითხარით-რა მაგაზედ? თუ ეგ აზრი გქონდათ, როცა მეხვეწებოდით, ჩემი იყავიო, თუ გეგონათ, რომ ეგ გარემოება თქვენ პასუხის-გებას შეამცირებდა ჩემ წინაშე, რატომ არ ეჭვობდით? განა თქვენ ნამდვილად იცოდით ეგა, განა თქვენ თითონ ნახეთ რამე? ან იქნება ჩემი ქომაგობა აღარამ არ გასწია და თქვენც ვეღარ იფიქრეთ, რომ შეიძლებოდა ეგ ტყუილი ყოფილიყო. ხოლო იცით თქვენ თუ არა, რომ ცოდვაა, ავ-კაცობაა, როცა კაცი ქალის გულს სრულიად შეიპყრობს და თითონ-კი მაგ ნაირს აზრებსა ჰმალავს და ღრმად იმარხავს გულში?

არმანმა ხელები გაშალა, თითქო გაჰკვირდა და პასუხის თქმა გაუძნელდაო.

— მე სასაცილო შევიქნებოდი თქვენთვის, თქვენი საყვარელი რომ არ გავმხდარიყავი... მე გავხდი თქვენი საყვარელი და, ვიმეორებ, რომ სასაყვედურო არა გვაქვს-რა ერთმანერთისა: არც მე თქვენი და არც თქვენ ჩემი. თქვენი წარსული მარტო თქვენ გეკუთვნოდათ და მე ნება არა მქონდა ანგარიში მომეთხოვნა თქვენთვის არც თქვენის წარსულისა და არც თქვენის სამერმისო ცხოვრების თაობაზედ. რაიცა შეეხება აწინდელს თქვენს ცხოვრებას, მე იმდენად გიცნობთ თქვენ, რომ დარწმუნებული ვარ, თქვენ არ შეგიძლიანთ ორი საყვარელი იყოლიოთ ერთსა და იმავე დროსა.

— ეგეც დიდი პატივის-ცემაა! — ძლივს-ღა წარმოსთქვა დასუსტებულმა ელენემ. ელენე ძალზედ გაფითრებული იყო და მკვდრის ფერი ედო. გულ-ქვაობამა და თავ-მოყვარეობამ იმისამ, ვინც უყვარდა ელენეს, ისე შეაკრთო და შეაშინა ქალი, რომ ცრემლიც კი გაუშრა. ელენეს მხოლოდ ერთი რამ-ღა უნდოდა გულით, უნდოდა ჩქარა მოჰშორებოდა ამ კაცს, მოჰშორებოდა და აღარ დაენახა ის თვალები... ის ბაგენი, რომელნიც ისე ატყუებდნენ ელენეს, ატყუებდნენ მუდამ, იმიტომ-რომ არმანმა დაიჯერა უწინვე ის სისაძაგლე, დაიჯერა უსაბუთოდ, უარაროდ, დაუმტკიცებლივ! .. ქალმა გონებამიხდილსავით ჩაიცვა ბურნუსი, აიღო ხელ-თათმანი და გაიკეთა რიდე.

— „მშვიდობით“, —სთქვა მან ძალდატანებით. ელენეს აღარ შეეძლო იმ დროს ამ გვარი ლაპარაკი გაება კიდევ, აღარ შეეძლო, იმიტომ-რომ ჯავრი და ნაღველი ყელში მოადგა და არჩობდა. არმანმა აღარ დაიჭირა ქალი და უთხრა თავის მხრითაც: „მშვიდობითო.“

ელენე გამოვიდა ოთახიდამ; არმანმა კარებამდე მოაცილა. არც ერთს ხმა აღარ ამოუღიათ. როცა კარები გაიხურა ელენემ, არმანი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. აქ აღარავითარი კვალი აღარ დარჩენილიყო იმ საზარო ამბისა, რომელიც ერთის წუთის წინ მოხდა. მხოლოდ სავარძელი აღარ იდგა თავის ალაგას, რადგან ელენემ უკან გაიდგა, როცა ფეხზედ წამოდგა. «უფრო უკეთესად გათავდა ყოველივე, ვიდრე მე მოველოდიო, სთქვა არმანმა თავის-თავზედ. —აი ამაზედ იტყვიან ხოლმე: საკმაოა თუნდ ერთი მცირე რამ საიდუმლო შეუტყო ქალსა და ქალი შენი ტყვე იქმნებაო. „ახლა კი მადლობა ღმერთსა, გათავდა ყველაფერი.“

არმანმა კვლავ ხმა მაღლა გაიმეორა:—«გათავდაო!» გაიმეორა ისე, თითქო ლოდი მოიშორა გულიდამაო, მაგრამ თან-კი რაღაც ნაღველი იგრძნო ამ შემსუბუქებასთან. ეს ნაღველი ყოველთვის თანა სდევს ხოლმე საყვარელთ განშორებას. «კარგი რამ-კი იყო წყეულიო!» გაიფიქრა არმანმა: ახლა კი შურის-ძიებას უნდა გავუფრთხილდეო... მაგრამ იმას ერთი ბარათიც არა აქვს იმისთანა, რომ «შენ» მიმეწეროს. უნდა ჩქარა გამოვართვა ელენეს ნივთები მადამ პალმირს. ამ ნივთებს მერე დავუბრუნებ ელენეს, დავუბრუნებ სწორედ იმ დროს, როცა იმას უკვე სხვა საყვარელი ეყოლება, როცა თან იმის ბარათს დაუწყებს მალვას ჯიბეებში და თან მეტყვის: „ახ, რამდენი მწუხარება გამომავლევინეო!“

— ვერაფერი სალხინოა წუთისოფლის ცხოვრება! დაუმატა მან და მიუჯდა ბუხარს...

გრ. უ—ძე

(შემდეგი იქნება)

დატუსაღებულ აფიცრებს არ განთავისუფლებს სარეგენტო მთავრობა, იმ აფიცრებს, რომელთაც სულ მცირე ბრალი ედებათ და რომელთაც თვით პრინცმა ბატენბერგმა აპატია დანაშაულიო. ბოლგარიის სარეგენტო ეტყობა იმასა სცდილობს, რომ პრინცი ალექსანდრე ხელახლად ამოირჩიოს მთავრად. მე ნამდვილად შევიტყე, რომ ბელო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საჭირო სტელეგრაფო ადგილს, იმ ჯარებს უჭირავთ, რომელნიც ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას არ თანაუგრძნობენო. საქმის კეთილად დაბოლოვებას უფრო ინგლისისა და იტალიის კონსულების უცნაური ქცევა აძნელებს და აბრკოლებსო...

— გაზ. „Mémoriad Diplomatiqeu“ აი რას ამბობს: „ერთად-ერთი საშუალება, რომ როგორმე გამოვიდეთ ამ სამარცხვინო მდგომარეობითგან, ის არის, რომ მთავარ ალექსანდრეს მაგიერ მოადგილე ამოვარჩიოთ ვინმეო. ეს საქმე, მართლაც არც ისე ძნელია, როგორც სხვებსა ჰგონიათ და წარმოუდგენიათო. უმეტესი ნაწილი დიდთა სახელმწიფოთა მიიღებს რუსეთის კანდიდატს ბოლგარიის ტახტისას და არაფერს იტყვისო. ძნელად საფიქრებელია, რომ პეტერბურგის კაბინეტს, რომელიც ერთი წელიწადია ალექსანდრე ბატენბერგის გადაყენებას სცდილობს, მოადგილე არჩეული არა ჰყავდეს და არავინა ჰქონდეს მხედველობაშიო. რაც შეეხება ბოლგარიის საერო კრებას, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ რუსეთის კანდიდატს მიიღებს ეს კრება და ამოირჩევს, მით უმეტესს, თუ სხვა დიდნი სახელმწიფონიც ამ არჩევანის წინააღმდეგნი არ იქმნებიანო. მაშ თუ ასეა საქმე, საკვირველია, რაღას ელის პეტერბურგის კაბინეთი, რატომ არ გამოაცხადებს თავის სურვილსაო?

* * *

ოსმალეთი. კუნძულ კანეაში დიდი არეულობა მოუხდენია იმ ამბავს, რომ ინგლისს განზრახვა აქვს, კრიტი დაიჭიროსო და ჯარები ჩააყენოსო. ზოგიერთ ქალაქების მოთავეებმა საქალაქო საბჭო მოიწვიეს და უნდათ, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისის სურვილს. ქალაქ რეტიმის საქალაქო საბჭომ ერთხმად განჩინება დაადგინა და ეს განჩინება ყველა საქალაქო საბჭომ მიიღო. განჩინება ყველა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ დაურიგეს და სთხოვეს, რომ თქვენს მთავრობას ყურადღება მიაქციენით ამ საქმეზეო.

ამ განჩინებაში აი რა სწერია: „უძველესს დროიდგან დაწყობილი აქამდე კრიტის მკვიდრნი ელინთა ტომასანი ყოფილან და იქმნებიან. ამ კუნძულის მკვიდრნი ელინთა ისტორიას თავის ისტორიად აღიარებენ, მათს ენაზედ ლაპარაკობენ, მათი დარდი და სიხარული თავის დარდად და სიხარულად მიაჩნიათ. ამ კუნძულის მკვიდრს ისე უყვარს თავისუფლება, რომ ყოველ სახელმწიფოსთვის, რომელსაც განუძრახავს თავისუფლება მოგვისპოს და უღელი დაგვადვას, წინააღმდეგობა გაუწევია, როგორც, მაგალითებრ, წინა-აღუდგა რომისა, ვენეციისა და ოსმალეთის უღელს. ამ საუკუნეში, 1821 წელს, ჩვენი ხალხი აჯანყდა და ათის წლის განმავლობაში იარაღი არ გაუგდია ხელიდამ, სულ იმასა სცდილობდა, რომ თავი განთავისუფლებინა და საბერძნეთთან შეერთებულიყო; 1841 და 1868 წელს წინააღმდეგობა გაუწია ოსმალეთისა და ეგვიპტეს შეერთებულს ძალ-მომრეობას და 1868 წლიდგან დაწყობილი კი მარტო თვითონ იყო მთელის კუნძულის ბატონი. კრიტის ერი ვალდებულია, რომ შეებრძოლოს ყველას, ვინც მოინდომებს თავისუფლება წაართვასო. ამის გამო რეტიმის საქალაქო საბჭო აცხადებს, რომ თუ, ვინიცობაა, ინგლისის გაზეთების ლაპარაკი გამართლდა და ინგლისმა კრიტის მითვისება მოიწადინა, კრიტის ხალხი თავ განწირულებით წინააღუდგება მის სურვილსაო.“

ამ განჩინებას ხელი აწერია ქალაქისთავისა და სხვათა ქალაქის წარმომადგენელთა.

დეპეშა

8 ოქტომბერს

ბუქარესტი. შესაძლოა კიდევ, რომ რუსეთმა თავის ჯარებით ბოლგარია დაიჭიროს. ხოლო ვიდრე ამ უკანასკნელს საშუალებას მიჰმართავდეს, რუსეთს განზრახვა აქვს, ჯერ კიდევ უყუროს საქმე როგორ წავა. ასე იქნება თუ ისე, და ეს კი უეჭველია, რომ რუსეთი არასოდეს არ მოურიგდება დღევანდელს სამინისტროს. აი ამიტომ კაულბარსიც აღარ აპირებს სოფიაში დაბრუნებას, თუმცა პეტერბურგში კი იმ აზრისა არიან, რომ კაულბარსის დაბრუნება სოფიაში საჭიროაო. ტირნოვში კი არც ერთი აგენტი რუსეთისა არ წავა. ჰფიქრობენ, რომ რუსეთი მხოლოდ იმ პირობით მოიბრუნებს გულს ბოლგარიზე, თუ დღევანდელ სამინისტროს მაგიერ ისეთი სამინისტრო შესდგება, რომელიც გულ-ახდილად და რუსეთის თანხმად იმოქმედებს. უპირველესად ყოვლისა ამ სამინისტრომ ჯერ ერთი უნდა უარ-ჰყოს დღევანდელი არჩევანი და ახალი არჩევანები დანიშნოს და ისიც მხოლოდ მთავრის ამოსარჩევად, მეორე — არჩევანები იმ დრომდე უნდა გადიდოს, მანამ სახელმწიფონი არ მორიგდებიან ერთმანეთში და კანდიდატს არ დაჰნიშნავენ. რაკი ასეთს ძალას დაატანენ ან კიდევ შიში ექმნებათ, რომ რუსეთი მართლა არ ჩაერიოს ჩვენს საქმეშიო, ბოლგარიის დღევანდელი სამინისტრო, როგორც ფიქრობენ, აღარ მოუცდის დიდს საერო კრებას და თავის ადგილს სხვას დაუთმობსო, უფრო კი მოსალოდნელია, რომ, თუ ერთი დიდი ამბავი არა მოხდა-რა, სამინისტრო დააგვიანებს საერო კრებას იმ განზრახვით, რომ თავისი უფლება ამას გარდასცეს. რუსეთის საზოგადოება ჰფიქრობს, რომ შესაძლოა ამ დროისთვის რუსეთის მომხრე სამინისტრო შესდგესო და მაშინ საერო კრება იძულებული იქნება დაემორჩილოს საპოლიტიკო საჭიროებას და თავ თავისად წავიდეს. ბოლგარიის დღევანდელ არჩევანებზე რუსეთში იმ აზრისა არიან, რომ უმეტესობას უთუოდ დღევანდელ მთავრობის მხარე უნდა დაეჭირაო, რადგანაც რუსეთის მომხრეებს სდევნიდნენ და შიშის გამო უმეტესს ნაწილს არჩევანში მონაწილეობა არ მიუღია. ამასთანავე, თუ ბოლგარიის სამინისტრო ამტკიცებს არჩევანების კანონიერებას იმით, რომ კონსტიტუციას ეთანხმებაო, მაშინ შეიძლება დამტკიცდეს ისიც, რომ თითონ სარეგენტო მთავრობაც შესდგა არა თანხმად კონსტიტუციისა, რადგანაც კონსტიტუცია ითხოვს, რომ სარეგენტო მთავრობა უნდა შესდგეს ყოფილ მინისტრთაგან, და არც სტამბულოვი, არც მუტკუროვი მინისტრებად არ ყოფილან. აფიცრების განთავისუფლების თაობაზე რუსებს ჰგონიათ, რომ არავითარი მიზეზი არ იყო, აფიცრებისათვის დევნა დაეწყოთ, რადგანაც პატიება (ამნისტია) მათი, ვისაც სახემწიფო არეულობაში მონაწილეობა მიეღო, გამოცხადებული იყო სტამბულოვისაგან 24 აგვისტოს, და სტამბულოვის განკარგულებანი დამტკიცებული იყო ალექსანდრე მთავრისაგან. ლვოვში ხმა დადის, ვითომც ავსტრიას უცნობებია ბოლგარიის მთავრისათვის, რომ ავსტრია სრულებით ხელს არ შეუწყობს წინადადებას ალექსანდრე მთავრის დაბრუნების შესახებ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჲო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2276 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

ოქტომბერი 31 დღით არის.

6 დღე ხუთშაბათი. წმ. მოციქ. იაკობ ალფესი, მამა აბრამისა და ლოტისა. კათოლ. წმ. მოწ. დიონიზიოსი, რუსტიკასი და ელევტერიასი. სომეხ. წმ. პანტელეიმონ და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—41. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10; მთვარე ამოდის 12—0, ჩადის 1—22.

10 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ევლამპისა და დისა ევლამპიასი; ღირს. თეოფილე და სხ. კათოლ. მადლობის წირვა ხოტინის გამარჯვების სახსოვრად. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა დღე 11—44—32. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5— ; მთვარე ამოდის 12—32, ჩადის 2—7.

11 დღე შაბათი. წმ. ფილიპე მოციქ. კათოლ. წმ. ალმს. ფრანცისკო ბორგიასი. სომეხ. წმ. მთარგმნელ ვარდაპეტთა სომეხთა: მესროპისა, ელიშესი და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—24. ტფილისში მზე ამოდის 6—23, ჩადის 5—7; მთვარე ამოდის 4—4, ჩადის 3—11.

12 დღე კვირა. ღირს. კოსმან მგალობელისა. სომეხ. მე-5 კვირა ამაღლებიდგან (ქორწინების ნება ეძლევათ). გენერალი ერმოლოვი დაინიშნა მთავარ-მართებლად საქართველოში, 1816 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—17; ტფილისში მზე ამოდის 6—24, ჩადის 5—5, მთვარე ამოდის 2—51, ჩადის 3—24.

13 დღე ორშაბათი. წმ. კარპისა და ნიკიტისა. კათოლ. წმ ალმსარ. ედუარდისა. სომეხ. პოვნა წმ. ნაწილთა წმ. გრიგოლ ალვანის. კათოლიკ. წმ. თადეოსი და სხ. დაბადება მათ უმაღლესობისა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, 1832 წ.—უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა დამატებანი 1861 წ. 19 თებერვალს გამოცემულის დებულებისა ბატონ-ყმობიდამ განთავისუფლებულ გლეხთა ყოფა-ცხოვრების თაობაზედ ტფილისის გუბერნიაში, 1865 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—10. ტფილისში მზე ამოდის 6—25, ჩადის 5—3; მთვარე ამოდის 4—2, ჩადის 4—1.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
» » 2 »	2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ »
» » 2—	3 »
» » 3 »	2½ »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ »
მე-2 ხარისხისა . .	3½ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
‹ › 2	6 »
სუკი	13 »
ცხვრის ხორცი . . .	6 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

პეტერბურგის ბირჟა, 6-ს ოქტომბერს 1886 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანეთიანი ოქრო	—	—	8 მ. 61 კ.
ტამოჟნის კუპონები.	176¼ მან.	—	—
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთ.	—	—	240 მან.
— მეორისა	—	—	222½ „
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი.	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები. .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი. .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	სამტრედია	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი.	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	ყვირილა .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	ხაშური . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
სამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	გორი . . .	7	59	8	9
ნიგოითი. .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი.	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	ხაშური . .	2	47	3	2
მცხეთა. . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

Дозволено цензурою. Тифлисъ 8 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე